**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . | 10 — | 6 . . | 6 — |
| 11 . . | 9 50 | 5 . . | 5 50 |
| 10 . . | 8 75 | 4 . . | 4 75 |
| 9 . . | 8 — | 3 . . | 3 50 |
| 8 . . | 7 25 | 2 . . | 2 75 |
| 7 . . | 6 50 | 1 . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ჩიდჟეველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

სა-პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი


**შინაარსი:** ტფილისი, 22 ივნისი.—ახალი ამბავი.—დაბა და სოფელი: სოფ. ოზამხირე.—ნარკვევი.—უცხოეთი.—გასართობი.—დეპეშა.—საკალენდარო ცნობანი.—საჭირო ცნობანი და განცხადებანი.

**ფელეტონი:** რა დროს და საიდგან შემოიღეს ქართული ანბანი, მ. ჯანაშვილისა.

## სათეატრო განცხადება

ამ წლის ოქტომბრის თთვის დამლევიდამ დაიწყობა ქართული წარმოდგენები ბ-ნ ფ ო რ კ ა ტ ი ს ა ტრეპრენიორობით ახლად აშენებულს ბანკის თეატრში და ამიტომ ვსთხოვთ დასში შესვლის მსურველთ როგორც ძველთა, აგრეთვე ახალთა, რომ თთვის თხოვნით მოგვმართონ ამ ადრესით: ვერა, მოსკოვის ქუჩა, პავლოვის სახლებში, მე-7 №-რი.

რწმუნებული ბ-ნ ფორკატისა
გ. აბაშიძე

ტფილისი, 22 ივნისი

ქართველი ხალხი საზოგადოდ მხვნელ-მთესველი ხალხია. მეურნეობის გაძლოლა მოითხოვს, რომ მხვნელ-მთესველი არ იყოს მოშორებული იმ საქმეზე, რომელიც მას აძლევს წლიურ სარჩოსა. თუ ერთი მოაშორე თვალი და გამუდმებით არ უკირკიტე მეურნეობის საქმეს, გირჩევნია სრულებით ხელი აიღო ხვნა-თესვაზე, ბაღოსნობაზე, თუ შინაურ პირუტყვთა მოშენებაზე. ჩვენში მოიპოვება მხოლოდ რამოდენიმე კაცი, რომელთაც, თავიანთ საუბედუროდ, აუცილებიათ თავიდამ საკუთარის მეურნეობის წინ-გაძღოლა ან იმიტომ, რომ ეს მეურნეობა ძრიელ მცირეა და ვერ აკმაყოფილებს პატრონს, ვერ აძლევს შესაფერ ლუკმა-პურსა, ან იმიტომ, რომ ძრიელ დიდი სამზღვარი მისცემია მას და, გინდ პატრონი თავს არ ადგეს საქმეს, მაინც საკმარისს სარჩოს იძლევა. შეუძლებელი მეურნე ძალა-უნებურად ანებებს თავს საკუთარს საქმეს და უფრო ხშირად ეტანება ქალაქებსა, რომ გამოინახოს რაიმე სამუშაო; შეძლებული-კი თავის ნებით ამცირებს ერთს ათად თავის შემოსავალს და მიეშურება იმავე ქალაქებისაკენ ხშირად მარტო დროების გასატარებლად. დანარჩენი ქართველობა-კი, როგორც მეურნეობის მიმყოლი, სცხოვრობს დაბა-სოფლებში.

ამ გარემოებაზე იმიტომ-კი არ ჩამოვაგდეთ სიტყვა, რომ დღევანდელ სალაპარაკო საგნად ჩვენა გვქონდეს სახეში ქართული მეურნეობა. ჩვენა გვწადიან შევეხოთ ერთ-ერთს შედეგს, რომელიც წარმომდინარებს ამ ცხოვრებისაგან სოფლს თუ ქალაქში. ჩვენ ვამბობთ შვილების აღრზდაზე და იმაზე, თუ რამდენად უწყობს ხელსა ანუ როგორ უშლის ჩვენი სოფლად ცხოვრება შვილების რიგიან გზაზე დაყენებასა.

წლითი-წლობით ჩვენი საზოგადოება ნაღვლიანი მოწამეა იმ არა-სანატრელ მოვლენისა, რომ ტფილისის სასწავლებლებში უნდა გაათავოს სწავლა წელიწადში ოცმა, ოც-და-ათმა ქართველმა, ქალი იქნება თუ ვაჟი, აგრეთვე ქუთაისში არა მომეტებულმა. და ამ ამბავსა ვხედავთ მაშინ, როდესაც ჩვენმა საზოგადოებამ დიდი ხანია გაიღო გემო განათლებისა და თითქმის ყოველი ცოტათი მაინც შეძლებული ქართველი ცდილობს გამოზარდოს თავისი შვილები სასწავლებელში. რად გვემართება ასეთი საქმე? რატომ მოგვდის ეს გამუდმებითი უბედურება, რომ ნაყოფი ჩვენის თვალ-საჩინო მეცადინეობისა ასეთი მცირე და თვალ-დაუნახავია?

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ეს საგანი იმდენად საყურადღებოა, რომ მისი ყოველ-მხრივი გამოკვლევა და გამოძიება უნდა შეადგენდეს ჩვენის საზოგადოების უმთავრესს მოვალეობას.

ჩვენის აზრით, სხვა მრავალ დაბრკოლებასთან, აქ წინ გვეღობება უმთავრესად ჩვენი დაბა-სოფლაში მცხოვრებლობა. შვიდი-რვა წლის ასაკიდამ მოკიდებული, ჩვენი მოზარდი ყმაწვილი, ძალა-უნებურად უნდა გადმოიყვანონ სოფლიდამ ქალაქში საცხოვრებლად, რადგან სოფლად ჩვენ არ მოგვეპოვება ისეთი სასწავლებელი, სადაც შეგვეძლოს მივაღებინოთ შვილებს სასურველი სწავლა. ჩვენი ჯერ ისევ უსუსური 7—8 წლის ბავშვი სწავლის მისაღებად უნდა ჩავარდეს ისეთს გარემოებაში, რომელიც სრულებით არაფრით არა ჰგავს მისს წინანდელს მდგომარეობას, მისს სოფლურს ყოფა-ცხოვრებას. აიღეთ თუ გინდ სოფლისა და ქალაქის ჰავა, ადგილის მდებარეობა, სოფლის მშვენიერი წყაროს წყალი და ქალაქების მდინარე, სოფლის სასმელ-საჭმელი და შეადარეთ ერთმანეთსა—აქ ყველგან ყმაწვილს თითქმის არა ეცნობა-რა, ისეთი დიდი სამზღვარი და განსხვავებაა მათში, რაც უნახავს და შეუთვისებია სოფლად, და იმათში, რის შეთვისებაც ახლა არგუნა მას ბედმა ქალაქში გადმოსახლებით. ახალი გარემოება ჯერ კიდევაც რომ ერთი ათადა სჯობდეს ბავშვის ძველს გარემოებას, მაინც არ არის ადვილი ახალ-პირობების შეთვისება—და როდესაც ჩვენა ვხედავთ, რომ ეს ახალი გარემოება ერთი-ათად მაინც მდარეა უწინდელს გარემოებაზე, მაშინ ხომ ბავშვის მდგომარეობა დიდად მძიმე და სატანჯველია. ეს ერთი.

ამასაც რომ თავი დავანებოთ იმ იმედით, რომ ჩვენი მოზარდი თაობა, სოფლად ცხოვრების გამო, ღონიერის აგებულების პატრონია, ჯანმრთელი და ამტანია, მაინც ხელთა გვრჩება ერთი ფრიად ძალუმი გარემოება, რომელიც უმწარებს სიცოცხლეს ქართველს ყმაწვილს და უშლის, რომ მან გაიკვლიოს სწორე და პირ-და-პირი გზა სწავლა-განათლებისაკენ. ეს გარემოება გახლავთ ის მწარე გარემოება, რომელიც აიძულებს ჩვენს მშობლებს—გინდა თუ არა გალთიდამ მოიშორე შენი შვილი, მოაკლე მას სიტკბოება დედ-მამის მუდმივ ხილვისა და მუდმივის გამხნევებისა სწავლასა და მეცნიერებაში. დედ-მამას მოშორებული ყმაწვილი უნდა ჩავარდეს ან პანსიონში, რაც გასაჭირია ქართველ მეურნის შეუძლებლობის გამო, ან და მომეტებულ ნაწილად ვისიმე უცნობის და ნაცნობის ხელში, სადაც ყმაწვილს ხშირად ისე კი არ უყურებენ, რომ იგი ყოველისფერს მოკლებულია და ამიტომ დიდი ხელის შეწყობა უნდა, არ დაიჩაგროს მეგობრებსა და ამხანაგებ შორის, ისწავლოს ბეჯითად და სხვანი,—არამედ ისე შეჰყურებენ, როგორც უპატრონო მწველელ ფურსა, რომელსაც გამოსწურვენ რძეს უკანასკნელ წვეთამდის და არ ნაღვლობენ-კი, რომ უზრუნონ რიგიანი და შესაფერი საჭმელი.

აი, ამ დღეში ჩაცვივიან ხოლმე ჩვენი ბავშვები. არც ქალაქების ბუნება უწევს ერთგულობას და პატრონობას, არც ახალი საზოგადოება აძლევს მათ მხარსა, რომ იმათ სწავლის მეტი სხვა აღარა ედარდებოდეთ-რა. მართლაც-და ძრიელ დიდის ნიჭის პატრონი უნდა იყოს ბავშვი და ძალიან ჯანმრთელი, რომ ბოლომდის გასტანოს და შერჩეს იმ აზრსა, რისთვისაც იგი მზრუნველ მშობელთ მოუშორებიათ თავიანთ კალთიდამ და გამოუგზავნიათ ქალაქში, და გადურჩეს იმ მომაკვდინებელს ზედმოქმედებას, რომელსაც ახდენს მასზე ქალაქების ზნე-დაცემულობა და ათასი ცუდი ზნეობრივი მხარე მოქალაქეთა. ასეთი გამძლე აგებულებისა, დიდის ნიჭისა და გამაგრებულ ზნეობის ბავშვი ძრიელ იშვიათია ჩვენშიაცა და მთელს ქვეყანაზედაც. ყოველის მხრით აყვავებული და შემკული ყმაწვილი სანთლით უნდა ეძებო. ხშირად ისეა, რომ ბავშვს თუ კაი ნიჭი აქვს, ჯანზე ვერ არის კარგად; თუ ჯანისა და მაგარის აგებულების პატრონია, ნიჭი შუათანა აქვს; თუ ნიჭითაცა და ჯანმრთელობითაც ნამეტანად არის დასაჩუქრებული, ზნეობითი სიმაგრე, ხასიათიანობა აკლია. უფრო ბევრ-

# ფელეტონი

## რა დროს და საიდგან შემოიღეს ქართული ანბანი

(ილია ოქრომჭედლიშვილის წერილის გამო „ვინ მოიგონა ქართული ანბანი“.)

(შემდეგი*)

ყოველისავე იმის მიხედვით, რაცა ვსთქვით, გვჯერა, რომ დიდის ხნით იმაზე ადრე, ვიდრე ფარნაოზი გამეფდებოდა, ნიადაგი იყო მომზადებული და ამის გამო ანბანიც მოგონილი ჰქონდათ ქართველებსა. რა დროს შემოიღეს ქართველებმა ანბანი, ზედ-მიწევნით არ გვეთქმის, ხოლო ეს დრო რაოდენადმე გამოჩნდება მეორე საკითხავის განმარტებით.

მეორე საკითხავი. ხუცური ძველ დროს შემოიღეს ქართველებმა, თუ მხედრული ანუ კუთხიანი ასოები უფრო ადრე შემოიღეს, თუ მრგვალები? ამ საკითხვის ასახსნელად მივმართოთ ხვოლსონს.

*) იხ. „ივერია“ № 123.

იმის აზრით [60]), საზოგადოდ, კუთხიანი ანბანი წარმოსდგა სხვა ძველის ანბანიდამაო. თუ რა დროს გაჩნდა კუთხიანი ანბანი, ამის თქმა ძნელია, როგორც იმას ვერ იტყვით, რომ ესა-და-ეს ახალგაზრდა კაცი ამა-და-ამ დროს მოხუცდაო. მხოლოდ ის კი ცხადიაო, რომ როდესაც წერა გაძნელებული იყო, რადგან ქვაზედ სწერდნენ, ან ლითონების დაფებზედ, ისიც გრიფილით ან ლურსმნით, მაშინ ასოების გადაბმგადმობმა შეუძლებელი იყოვო; როდესაც შემოვიდა ხმარებაში კალამი და მელანი, მაშინ წერაც გაადვილდა და ჩქარა წერისა გამო ასოების გადაბ-გადმობმაც შემოვიდაო. შემდეგ ხვოლსონი აღნიშნავს, რომ ურიული კუთხიანი წერა სხვა ანბანიდამ წარმოსდგა დაახლოვებით მე-V საუკ. დასაწყისს ქრისტეს წინადაო.

მეცნიერებაში გავრცელებულია აზრი, რომ პირველად წერის ნიშნები უუძველეს დროში მოიგონეს ფინიკელებმა და მათის ანბანიდამ წარმოსდგა არამეული, მისირიული, ნაბათეური, ებრაული, პალმირული და ამ ანბანებიდამ კიდევ სხვა ანბანები [61]).

რომელ ამ ანბანთაგანს ჰგავს ჩვენებური ანბანი?

ცოტა შორიდამ მოვუაროთ ამ საკითხავს. ლენორმანს თვის მიერ შედგენილს ერთა კლასიფიკაციის მე-12-ე მუხლში მოუქცევია ერნი, რომელთაც უწოდებს ხმელთა-შუა მცხოვრებლებს. ამათ ენას გაჰყოფს ოთხს შტოდ [62]). აი ეს შტონი: 1) ბასკი; 2) კავკასიელნი (ქართველნი და მთიელნი); 3) ა) ქამის ტომისანი: ლიბიის მოდგმისა, ეთიოპიისა, მისირისა (ძველი და ახალი მისირისა ანუ კოპტური) და ბ) სემისა: ქალდეველნი, სირიელნი, ებრაელნი, სამარიელნი, ფინიკელნი, აბისინელნი და არაბნი; 4) ინდუსტან-ევროპიელნი: ა) ინდოური ენანი: სანსკრიტი, ფალი, პრაკრიტი, ბენგალი, ასსამი, ორია, ნიფალი, კასიმირი, სინდი, პანჯაბი, ჰინდუსტანი, გუჯარეთი, მარათი, სიანოშ, დარდუ და თული; ბ) ირანული: ძველი სპარსული, ფეჰლევური, ფარსი, ახალი სპარსული, ქურტისტანური, ბელუჯისტანური, ზენდური, ავღანური, ოსური, სომხური, კელტური (უელისა, ბრიტანიისა და ირლანდიისა), იტალური, ალბანური, სლავიანური, გერმანული.

ყველა ამ ერთან ძველ დროს, როდესაც მათი ადგილ-სამყოფელი იყო აზია, აფრიკა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ევროპა, ქართველებს ჰქონდათ მისვლა-მოსვლა, აღებ-მიცემა. ამის მაგალითები მოვიყვანეთ ზემოდ. ქართველებს იმ ძველ დროს უფრო ხშირი მისვლა-მოსვლა ჰქონიათ ფინიკელებთან, ეთიოპ-მისირიელებთან და ინდოელებთან. ეს კიდევ, გარდა ზემო მოყვანილ ცნობებისა, სჩანს იმითაც, რომ ქართული ანბანები ჰგვანან: ხუცურები აბისინურსა და ეთიოპურს, მხედრულები ინდუსტანის ქვეყნების: თაფრობანისას, გუჯარეთისას და სიამისას.

ეთიოპურსა და აბისინურ ანბანებში მოიპოვება სრულიად მგზავსი ქართული ასოებისა (წინა-უკულმა რომ წავიკითხოთ ილია ოქრომჭედლიშვილისავით [63]): [illegible]; იმავე ანბანებში ჩვენებური მხედრული ასოებია: ტ, ც, ო, ი, ჯ, ბ, ს, ხ, რ.

კუნძულ ცეილონის (თაფრობანის) ანბანი გარეგანის შეხედულობით გასაშტერებლად ჰგავს ჩვენებურ მხედრულს ჩვეულებრივსა და შემდეგი ასოებიც საერთონია: თ, ნ, ი, ვ, ო, ღ, ყ, ს, ხ.

გუჯარეთის, სიამის (ინდუსტანის ქვეყნებია) გარეგნულად და ასოების მსგავსებით სრულიად ჰგვანან ერთმანერთსა და ამასთანავე ქართულ ნუსხურსა ანუ ხელ-ჩართულსა. მათში მოიპოვება შემდეგი ნუსხური ასოები: ხ, მ, ს, ნ, ტ, ი, ზ, შ, დ, ვ, ო, ყ, ჯ, პ, ც, ლ, ჰ, უ, ც, ა.

ამას გარდა ჩვენებური ასო-მთავრული, როდესაც კარგა დააკვირდება კაცი, ჰგონია, რომ იგი შემდგარია ლურსმურის წერის ნიშნებითაო. ლურსმურის წერის ნიშნები ჰგვანან უთა-

[60]) Сбор. Евр. Надп. ხვოლსონისა, გვ. 383—390.

[61]) იხ. ტაბლიცები ხვოლსონისა იმავე წიგნის ბოლოში.

[62]) ლენორმანი, Руков. къ др. истор. вост. Египтяне, გვ. 6.

[63]) იხ. და შეადარე ჩვენებური ანბანები აღნიშნულ ქვეყნების ანბანებს ნემეცურ წიგნში: „ყველა ერთა ანბანები“ (Sprachen und dialecte).

ჯელ-კი ბავშვი ისეთია, როგორიც არის უმრავლესობა, ე. ი. აქვს საკმაო ნიჭი, საკმაოდ მაგარი აგებულება და არის საკმაოდ კეთილ ზნის პატრონი. ასეთია უმრავლესობა და ამიტომაც მისთვის ქალაქის ცხოვრება მომხიბლავ-მომშხამელია. მას წინ უდგია ათასი დაბრკოლება, რომელთაც იგი ვერ მოჭრევნია და, მორევნის მაგიერ, თვითონ ექელვინება. აი, კიდეც ეს მიზეზია, რომ ჩვენს ერს აქამდის არ ეღირსა გამოზარდოს იმდენი შვილი, რამდენსაც იგი აძლევს სასწავლებელში, ეს მიზეზია, რომ მეოცედი ნაწილი ჩვენის მოსწავლე თაობისა ძლივს ასრულებს სწავლას საშუალო სასწავლებელში და უნივერსიტეტის განათლება ხომ მეასე ნაწილსაც არ ერგება ხოლმე.

ცხადია, რომ ამ საქმეს მალი და უებარი მიშველება უნდა. რა უნდა ვქნათ და რითი მოვუაროთ ჩვენს თავს ამ უშველებელს გაჭირვებაში?

ჩვენის რწმენით აქ მხოლოდ ერთი საშუალებაა, რომელიც მართლა ნამდვილ წამლად დაედება ამ მძიმე გარემოებას. ჩვენა გვგონია, რომ მანამ ძირეულად არ გამოიცვლება მოსწავლე ყმაწვილების ბედი, მანამ აქ შველა არ გვეღირსება. რაში და როგორ უნდა გამოვცვალოთ ჩვენ ეს ბედი?

ამ დღეებში ჩვენი გაზეთი, თ. დიმიტრი ჭავჭავაძის ანდერძის გამო, აჩვენებდა წყაროს, თუ როგორ უნდა შეადგინოს ჩვენმა თავად-აზნაურობამ თანხა, რომელმაც უნდა შეგვაძლებინოს შვილების აღზრდა. მკითხველს ეხსომება ის აზრი, რომ აქ ერთმანეთის მიგეღლებასა და დახმარებაზე უნდა აშენდეს ჩვენი საქმე. ერთი კაცი, ძრიელ შეძლებულიც რომ იყოს, ვერ გაუძლვება იმოდენ საქმეს, რამოდენიც შეუძლიან თავს იდოს მთელმა ასეთ შეძლებულთა ამხანაგობამ. ეს ისეთი აშკარა აზრია, რომ მისი დაწვრილებითი დასაბუთიანება, მგონი, საჭირო არ იყოს ჩვენის მკითხველებისათვის. მივუთითებთ მხოლოდ მაგალითებზე. აიღეთ რკინი-გზების გაყვანა, ხომალდებისა და გემების აშენება, დიდრონის ქარხნების გამართვა და სხვანი. აქ კერძო კაცი ვერ ითავებდა ამოდენა საქმის სისრულეში მოყვანას. ამხანაგობას-კი ისე მიჰყავს, რომ დიდს გაჭირებასა და დაბრკოლებას არ შეჰხვდება ხოლმე.

აგრეთივე ამხანაგობაა საჭირო შვილების აღზრდა-განათლებაშიაც. ამხანაგობა მოახერხებს იმას, რაც ძნელად შესასრულებელია კერძო კაცისათვის. უნდა შესდგეს პატარ-პატარა ამხანაგობა და იკისროს მოსწავლეთა ბედის წაღმა გამობრუნება, ე. ი. უნდა ძირეულად შეიცვალოს ბავშვების დღევანდელი ყოფა. ჯერ ერთი ესა, რომ უსუსური ბავშვი არ უნდა მოაშორონ სოფლის სიმშვენიერეს და არ ჩამოიყვანონ ქალაქებში, ვიდრე ყმაწვილი არ გამაგრდება ჯანით, არ გაეხსნება ჭკუა-გონება იქამდის, რომ ავ-კარგიანობა ესმოდეს, და ვიდრე არ შეუმუშავდება ზნეობა და არ გაუმაგრდება ხასიათი, რომ ქალაქების ბოროტ ზედ-გავლენას გაუძლოს ბავშვის გულმაცა და სულმაც. მეორეც ესა, რომ ყმაწვილზე გამუდმებულად ეჭიროთ მშობლებს საკუთარი თვალი და ამხნევებდნენ მას მშობლიურის მზრუნველობითა. უამპირობებოთ ყმაწვილის გამოზრდა თითქმის შეუძლებელია. ამ პირობების დაბადვაკი ყოვლად ადვილი, მოსახერხებელი და უფრო იაფად დასაჯდომია, ვიდრე დღევანდელი აღზრდვა შვილისა. მხოლოდ საჭიროა მშობელთა დაამხანაკება, ერთმანეთის გატანა და მხრის მიცემა. მშობელი დღეს თითო ბავშვზე ქალაქებში ჰხარჯავენ 200 მანათიდამ ვიდრე 400 მანათამდე წელიწადში. ათმა მეზობელმა მშობლებმა რომ მოიყარონ თავი და გამოიღონ თითო ყმაწვილზე მარტო ათ-ათი თუმანი, ისეთს მასწავლებელს იშოვნიან, რომ უნივერსიტეტში შეესრულებინოს სწავლა. ბევრი მასწავლებელია, რომ დიდის სიამოვნებით ას თუმნად მოამზადებს და ასწავლის ყმაწვილებს სოფლად, ვიდრე ორას-სამას თუმნად ქალაქში. და თუ ამხანაგობა იმავე ხარჯს გასწევს, რასაც ეხლა ეწევა, მაშინ ხომ თვით პროფესორსაც იშოვნის თავს შვილების მოსამზადებლად.

ამ შემთხვევაში ჩვენი შვილებიც ჩვენს კალთის ქვეშ გვეყოლება და ისეც მოვამზადებთ, რომ ყოველ სასწავლებელში სიხარულით აიყვანონ დაუჩაგვრელი, გაურყვნელი და ბეჯითი ყმაწვილი. აი ერთად-ერთი ღონე, რომელსაც შეუძლიან გამოცვალოს მოსწავლეთა ბედიც და ერსაც მისცეს წელიწადში არა 40—60 სწავლა გათავებული, არამედ 300—400 ნასწავლი ახალგაზდა.

ჭ—შვილი

## ახალი ამბავი

*** 19-ს ივნისს, ორს საათზედ, როცა ბაქოს სადგურიდამ აპირობდა წამოსვლას რკინის გზის მატარებელი № 2, ერთი ვიღაც ლეკი უდროვოდროდ სადგურის ბაქანზე გასულა. რადგანაც ბაქანზედ დგომა აკრძალულია, ვიდრე პირველი ზარი არ დაირეკება წასასვლელად, და იმ ლეკს-კი სდომებია ამ დრომდე მატარებელში ჩაჯდომა, ჟანდარმს ხელი წაუწვდენია, უკან ჩამოუყენებია და უბძანებია ზალაში შესვლა. ამაზედ ლეკს გული მოსვლია, გაცეცხლებულა, უძვრია ხანჯალი და მხარში და მკლავში ორ ალაგას დაუჰრია მოსამსახურე. ატეხილა ალიაქოთი და ლეკი უფრო გაცეცხლებული დარევია იქ დამსწრე ხალხსა და ხუთმეტი კაცი დაუჭრია და იმათ გარდა უფროსი კონდუქტორი, ორი ჟანდარმი და მებუფეტე. შემდეგ გამოვარდნილა გასაქცევად სადგურის ბაქანზედ და აქ რადგანაც ცოცხალი არ დაჰნებებია, ჟანდარმებს მოუკლავთ ხლმითა. ამაზედ ვრცლად ამბავს შემდეგ მოვახსენებთ ჩვენს მკითხველებს.

*** ამ დღეებში გათავდება ბეჭდვა დიდის თხზულებისა, რომელიც რუსულად არის დაწერილი ბ-ნ ი. ბახტაძის მიერ სახელმწიფო ქონებათა გამგეობის მინდობილობით და რომელსაც საგნადა აქვს გამოკვლევა ხარჯისა და გადასახადის საქმისა საქართველოში ამ ასის წლის წინად და მას შემდეგ დღევანდლამდე. წიგნი შეიცავს 300-ზე მეტს გვერდს დიდის თაბახისას.

*** ამ ზაფხულს მოვიდა საქართველოში სხვა-და-სხვა სამეცნიერო გამოკვლევათათვის პროფესსორი ტიხომიროვი და აბრეშუმის კეთების მცოდნე ბ-ნი პეტროვი. ამათ გარდა მოვიდა კიდევ ბ-ნი ვერეშჩაგინი, რომელსაც კარგადა აქვს შესწავლილი ყველის კეთების საქმე. ვერეშჩაგინმა დაათვალიერა ფერმა ბარონის კუჩენბახისა ბორჩალოში და ახლა უნდა დაწვრილებით შეისწავლოს ჩვენებური წველადლვება და სხვათა შორის ოსურის ყველის კეთებაცა.

*** 19 ივნისს მოვიდა აბასთუმანს სამხედრო მინისტრი ვანნოვსკი. მინისტრს თან ახლდა ტფილისის გუბერნატორი ბ-ნი ზისსერმანი და ბ-ნი რემმერტი. მინისტრი ერთს თთვეს დარჩება აბასთუმანს. გუბერნატორი მიდის სარევიზიოდ ახალციხისა და ჯავახეთისაკენ.

*** სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ბ-ნი ოსტროვსკი ამ ზაფხულს გაატარებს კისლოვოდსკში. კისლოვოდსკშივე მიდის ტფილისიდამ სამინისტროს რწმუნებული ბ-ნი ტიჩეევი.

*** ტფილისში კვლავ გავრცელებულა ყალბი ფულები, მომეტებულ ნაწილად 25 მანათიანები. ამ დღეებში პოლიციას დაუჭერია სამი კაცი, რომელნიც ამ გვარ ფულებს თურმე ასაღებდნენ.

** ჩვენ გვატყობინებენ, რომ სოფ. მერეთის სკოლის ფული წელს იანვრიდამ ჯერაც არ მოკრეფილა. სკოლას ინახავს ოთხი საზოგადოება—მერეთისა, კულბითისა, ჭარებისა და დმენისისა. ამ ოთხის საზოგადოებიდამ მხოლოდ მერეთელებს გადაუხდიათ სასკოლო ფული. დანარჩენს სამ საზოგადოებას-კი ეს ორი წელიწადია გროშიც არ შემოუტანია. ამას აბრალებენ ზოგიერთების უკულმართობასა და ბოროტ ზედ-მოქმედებას. თურმე ეს ზოგიერთები აქეზებენ ხალხსა—ნუ გადიხდით და ძალას არავინ დაგატანთ, ვერ გადაგახდევინებენო. სასურველია, რომ ადგილობრივმა მთავრობამ მიაქციოს თავისი ყურადღება ამ გარემოებას; მით უმეტესს საჭიროა მთავრობის დახმარება ამ საქმეში, რომ აქამდის მასწავლებელთ ყოველთვის ხაზინა აძლევდა ჯამაგირსა და ახლა-კი იანვრიდამ განკარგულებაა, რომ სანამ გლეხთა საზოგადოებანი არ შეიტანენ სკოლის ფულს ხაზინაში, ხაზინამ აღარ უნდა აძლიოს მასწავლებელთ ჯამაგირებიო.

*** გუშინ-ღამ, ნავთლუღში, დაიწვა სახლი აბესალომოვისა. სახლი სჭერია მღვდელს უთიაშვილს და მთელის სახლის მოწყობილობა და სამოცი თუმანი ნაღდი ფული დასწვია ამ მღვდელს. ეს სახლი დაზღვეული არა ყოფილა.

*** როგორც გვატყობინებენ, განზრახვა აქვთ გაიყვანოს რკინის-გზის შტო კოპიტნარის სტანციიდამ დაბა ხონამდე და შემდეგ ხონიდამ სოფ. გორდამდე. სიგრძე ამ შტოსი იქნება 50 ვერსტი. ეს გზა უნდათ სრულებით სხვა წესზედ ააშენონ, რადგან მისი გაკეთება მარტო რკინი-გზის კამპანიის საქმე არ იქნება. ამბობენ, ვითომც კამპანიისა იქნება მთლად რკინეული ნაწილი—რელსები, ვაგონები და სხვანი. ტყის მასალას იძლევა სამეგრელოს თავადი დადიანი. ხოლო რაც-კი მიწის სამუშაო დასჭირდება ამ გზასა, ეს უკისრნია მუქთად გლეხ-კაცობას, რომელიც იქ ახლო-მახლო სცხოვრობს. რადგანაც ასეთს პირობებზე უნდათ ხსენებულის გზის აშენება, ამიტომ მისი მსვლელობაც თავისებურის თვისებისა იქნება თურმე. ერთს ამ თვისებათაგანად ასახელებენ, ვითომც მატარებელი გზაში ყოველთვის გაჩერდება საცა-კი მგზავრი მოიწადინებს ჩამოსვლასა ან სხვა ვინმე მოიწადინებს მატარებელში ჩაჯდომას, გინდაც რომ ტრიალს მინდორში შეჰხვდეს მგზავრი ამ მატარებელს. სასურველია, რომ ეს ამბავი მუქთა კაცების მიერ მოგონილი-კი არა, ნამდვილი განზრახვა იყოს.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ტფილისის სასულიერო სემინარიაში გაუთავებიათ წელს სწავლა თხუთმეტს შეგირდსა. დარწმუნებულნი ვართ, რომ

---

ეთ ლურსმებსა ანუ სწორე ხაზებსა. მართლაცა და ჩვენებური ასო Ⴛ-თვის შესადგენად საჭირო იყო ექვსი ლურსმური ნიშანი, Ⴗ-სთვის სამი, Ⴔ-ოთხი, Ⴉ-ხუთი, Ⴈ-სამი, Ⴘ-ოთხი და სხ. ამ გვარს ჩვენს აზრს რაოდენიმე საფუძველი ეძლევა მით, რომ ასოები Ⴌ Ⴗ Ⴛ Ⴢ იხმარებიან მისირის საიეროგლიფო წერაშიაც. საკვირველი ის არის, რომ იქაც Ⴌ ჰნიშნავს Ⴌ-სა. იმავე მისირულ იეროგლიფურ წერის ნიშნებში მოიპოვება მზგავსი ნიშნები ქართულის ასოებისა: ი, დ, გ, ტ, ე, ქ და ამათთაგან ი იქაც აღნიშნავს ი-ს, გ—გ-სა, ტ—ტ-სა და ე-კი თავის მოხაზულობით—სახლსა, ქ—წელიწადსა.

აქედგან გამოდის ისა, რომ ასონი ე და ქ უფრო უძველეს დროს ეკუთვნიან, მინამ აქ მოყვანილი სხვა ასონი, ეს იმიტომ რომ სურათებით წერა უფრო ადრე შემოვიდა, მინამ წერა იეროგლიფებითა. ამავე სურათებით წერის დროისანი უნდა იყვნენ კიდევ ასო-მთავრულნი Ⴍ, Ⴓ და Ⴔ, რადგან სურათებით წერის დროს სიმრგვლე ჰნიშნავდა დაუსაბამობასა. ქართულ Ⴓ ძველებურ დროს მარჯვნივ პატარა ხაზის მაგიერ უსახავდნენ გველის (გველაშაპის) თავსა. ეს უფრო მეტს საფუძველს გვაძლევს, რომ სამივე მზგავსნი ასონი Ⴍ Ⴓ Ⴔ მიეაკუთნოთ სურათებად წერის დროს, რადგან მაშინ გველაშაპის სურათი ჰნიშნავდა ხოლმე სიბრძნესა. ეს თუ ესეა, მაშ ასოში Ⴓ შეერთებულია ორი განუყრელი ცნება: დაუსაბამობა და სიბრძნე. ამის მიხედვით Ⴍ და Ⴔ-შიაც ორ-ცნებოვანი აზრი უნდა გამოიხატებოდეს. ლენორმანის მოყვანილ ტაბლიცებიდამ სჩანს, რომ ასო Ⴈ სურათებად წერის დროს აღმნიშვნელი ყოფილა ღმერთისა (ფინიკიურ და ასირიულ ტაბლიცებში), მაშასადამე სიძველით Ⴈ [64]) ჩამოუვარდება Ⴓ, Ⴍ, Ⴔ.

[64]) თითქმის ყველა ძველებურ წიგნებში, ხუცურ ჩვეულებრივითა თუ მხედრულით დაწერილებში, საცა ღვთის სახელი გვხდება, პირველი ასო ამ სიტყვაში იწერება ასომთავრული Ⴈ, ან Ⴓ, სიტყვაში უვალი. ეს შემთხვევა, მგონია, რამდენადმე ჰხსნის ამ ასოების საღმრთო მნიშვნელობას იეროგლიფურ დროიდგანვე დაშთენილს.

ჩვენებური ი-ც იმავე სურათებით წერის დროისა უნდა იყოს, რადგან გაბრტყელებული ი-ს მზგავსი ნიშანი აღნიშნავდა მთვარესა (მისირიულ ტაბლიცებში). მართლაც და ახალ-დაბადებული მთვარე (სამი-ოთხის დღისა) ერთის შეხედვით წააგავს ამ ასოსა.

აქ უნდა დავუმატოთ, რომ ადამიანმა პირველად კვანძული წერა მოიგონა, შემდეგ სურათული, მერმე იეროგლიფური და ამ იეროგლიფურიდამ წარმოსდგა ანბანი.

მამათ-მთავრად ყველა ანბანებისა ანუ დედნად, როგორც ვსთქვით, დღეის აქამდე ითვლება ფინიკიური ანბანი, რომლის შემოღების დრო იკარგება კაცობრიობის ისტორიის უწინარეს ჟამთა წყვდიადში, ბევრით ადრე 2000 წლისა ქრისტეს წინად. ამ ანბანიდამ შემდეგ საუკუნოებში წარმომდგარა მისირიული ანბანი, მერე არამეული, პილმირული, სირიული ნაბათეური, ქალდეური, ფეჰლეური დაურიული.

ფინიკიური ნიშნები ერთის შეხედვით სრულიად ჰგავს ჩვენებურ ნუსხურსა [65]). ამ ძველ ფინიკიურ ანბანში მოიპოვება სრულიად მგზავსი ქართული ასოებისა: ნ ს უ ყ ე Ⴑ ო Ⴔ კ Ⴟ და უკულმა წაკითხვით: ხ, ნ, რ (ნუსხური), ი, ქ (ნუსხური).

ძველ მისირიულ ანბანში ამ ასოებს ემატებათ: ჳ ა ყ Ⴗ; არამეულში ამათაც ემატებიან: Ⴈ ვ ≗ ც; მაგიერად ფეჰლეურში ისპობიან Ⴑ Ⴗ Ⴈ ნ ა ჳ ვ ი ო და დანაშთენთაგანაც უმეტესი ნაწილი ჰკარგავს თავის პირველ სახეს.

ამ ნაირად ასოების მამათ-მთავრიდგან მოკიდებული მესამე მოდგმამდე სრულიად განვითარებულ სახეს იღებენ 18-ნი მხედრულნი ნუსხურითურთ და 6 ასო-მთავრული, სულ 24 ასო. და რადგან ზოგიერთი ქართული ასოები მოიპოვებიან სურათულ და იეროგლიფურ წერის დროსაც, ამიტომ იგი ასონი უფრო ძველ დროს უნდა ეკუთვნოდნენ, მინამ ფინიკური ასონი, რომელნიც, რასაკვირველია, იმავე სურათულისა და იეროგლიფურ ნიშნებიდამ წარმოსდგებოდნენ.

[65]) იხ. ტაბლიცები ხვოლსონისა.

მაგრამ საკვირველი ის არის, რომ თითქმის მომეტებული ნაწილი ზემოდ მოხსენებულის ქართულის ასოებისა მოიპოვება ებრაულ ასოებს გაჩენის პირველ დროს. მაგალითად: ხ ვ ს ნ უ (ნუსხური), ყ (ნუსხური) Ⴟ ი Ⴗ (ნუსხური და ასო-მთავრული) ო Ⴙ (ნუსხური) Ⴈ ქ Ⴁ ლ (ნუსხური). საზოგადოდ იგი პირველი ანბანი ებრაელთა, რომელთა შემწეობით მოსე წინასწარმეტყველს 1700 წ. ქრ. წინად უწერია დაბადება, ერთის შეხედვით მიეგვანება ნუსხურსა და თან-და-თან ეს ასოები იცვლებიან, კუთხიანდებიან და მოხაზულობითა და შეხედულობით ჩვენებურ ხუცურს ჩვეულებრივს ედრებიან. ნუსხურის მსგავსი რჩება მხოლოდ კ, ყ (უკულმა), ო, ს, ვ, ხ, მაგიერად შემოდის ხუცურები: Ⴀ Ⴘ Ⴈ Ⴢ Ⴓ ს ა ш Ⴔ (უკულმა) Ⴡ და ბევრიც სხვა ჰგავს, თუ კაცი ძრიელ გამოეკიდება მზგავსების აღმოჩენას. ებრაულ ასოების დაკუთხიანების დროდ ხველსონს მიაჩნია მეხუთე საუკუნის დასაწყისი, ქრისტეს წინად.

მ. ჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

ძრიელ საამურ ამბად მიიღებს ჩვენი ხალხი ამ ცნობას, რადგან ჩვენში ნასწავლ მღვდლების რიცხვი შესამჩნევად მცირეა და დიდად საჭიროა, რომ ტფილისის სასულიერო სემინარიამ ყოველივე ღონის-ძიება იხმაროს ამ რიცხვის გასადიდებლად. ვინატრით, რომ სემინარიის მთავრობის შრომა დაჯილდოებულიყოს და სამერმისოდ და ყოველ წლივ შემდეგისთვის ოც-დაათობით და ორმოც-და-ათობით შეესრულებინოთ სწავლა სამღვდელო გზაზე დამდგარ შეგირდებს, რომ ჩვენს ხალხში ამის შემწეობით მაინც აღადგეს უწინდელი სასოება ღვთისადმი და ქრისტეს სწავლისადმი.

*** «Гражданинъ»-ს შეუტყვია საყურადღებო ცნობანი შესახებ რეალურ სასწავლებლების გადაკეთებაზე. წელს გაზაფხულზე, როგორც ჩვენ ვაცნობეთ „ივერიის" მკითხველებს, მინისტრმა შეიტანა პროექტი სახელმწიფო საბჭოში და არჩევდა რეალურ სასწავლებლებში ხუთს წელიწადზეთავდებოდეს სწავლაო. ზემოხსენებულ ჟურნალის სიტყვით, ეხლა თურმე სახელმწიფო საბჭოს გარდაუცია მინისტრისათვის, რომ უნდა შეიცვალოს სწავლების პროგრამა მინისტრის აზრისამებრ, მაგრამ სწავლით-კი უნდა ექვსის წლის განმავლობაში ისწავლონ შეგირდებმა, ასე რომ თხუთმეტის წლის ყმაწვილები-კი არ უნდა გამოდიოდნენ სწავლა შესრულებულნი, არამედ 16 წლისანიო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ოჩამჩირე**, 15 ივნისს. აქედამ ორმოც ვერსტის მანძილზედ აღმოჩენილა სახელმწიფო მამულში ძვირფასი მადნის წყლები. ეს წყლები სამს ადგილას იპოვება ერთის თემის მიდამოთა შორის, სახელდობრ, გუპსის სათემოში, ტკვარჩელში, მდ. კოდორისაკენ. ეს წყლები არჩენს ქარ-ცეცხლიანს, წყალ-მანკიანს, ტყირპიანს, არჩენს აგრეთვე ქალის ავად-მყოფობას, ავ-სენს და ძალიან უხდება ჭლექიანს, თუ ჭლექი გაციების გამოა გაჩენილი. ამ სხვა-და-სხვა სენით შეპყრობილნი ოჩამჩირეს ცხოვრობენ. ესენი წყლებს ისე გაუნთავისუფლებია ავადმყოფობისაგან, რომ აღარავითარს ტკივილს აღარ უჩივიან. ამ წყლების გზა დაიწყება ოჩამჩირედამ. წყალი გალიზგა ჩამოდის ოჩამჩირეს, და აი ამ წყალს უნდა მიჰყვეთ და პირ-და-პირ მიგიყვანთ. გზა კარგია, 37 ვერსტამდე შეგიძლიანთ ცხენით კარგად იაროთ და მერე სამ ვერსტზედ ბილიკია. შეიძლება ამ ბილიკზედაც იაროს ცხენმა, მაგრამ ქვეით-კი სჯობს სიარული. ეს ადგილი მთა-ადგილია, მუდამ გაუდნობელი თოვლია აქ მთაზედ. მთის ძირს გამოდის ერთს ადგილას ცხელი წყალი. ეს წყალი ისეთი ცხელია, რომ ხელს ვერ ჩაჰყოფთ შიგა. მეორესა და მესამე ალაგას გამოდის მჟავე წყალი, ისეთი მჟავე, როგორც მაჭარი. ერთი მათგანი ტკბილია და მოლურჯო ფერი აქვს. ამ წყაროებს ახლო მშვენიერი და სასიამოვნო სუნი ტრიალებს. აქაურს მჟავე წყალს რომ დაჰლევთ, ისე გგონიათ, ენასა და ყელსა მხაჰნის რამეო. სიცხიანი პირი რო ჰქონდეს კაცს, მაინც სასიამოვნოდ დარჩება. ეს ადგილები ყოფილა უწინდელ დროში პირველი სამყოფელი ადგილი აფხაზეთის მთავრებისა. საზაფხულოდ აქ მობძანდებოდნენ თურმე და სიამოვნობდნენ. ამ მთავრებს, როგორც ამბობენ აქაურები, მშვენიერი სახლი ჰქონიათ ბზაკალის ხით აშენებული. ყოველ ოთახში მილებით ყოფილა ამოყვანილი ეს წყაროები. ერთიდგან პირს იბანდნენ თურმე, მეორიდგან სასმელს წყალს იღებდნენ და სხვ. ახლა ეს ადგილები ისე გამხდარა, რომ ნადგომი-კი არა, ვერც კი შენიშნავს კაცი, თუ ოდესმე ფრინველს გაუვლია აქ. ეტყობა-კი რომ ბაღი უნდა ყოფილიყო აქ უწინ: უბრალო ხეს ვერ იპოვნი; აქაურობა ხეხილით სავსეა. დღეს კომისია სდგას და ჰზომავს ამ ადგილებს. ამ წყლებიდამ სოფელი 3 ვერსტზედ არის. რძე, ყველი, ერბო, ქათამი, ცხვარი ძალიან იაფად იშოვება. ამ წყლებზედ ორი აფხაზი სდგას და, ვინც მიდის სამკურნალოდ, ეს აფხაზები მიიღებენ ხოლმე.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზეთ „Московскія Вѣдомости"-ში დაბეჭდილია ერთი წერილი ამ სათაურით: „ესეც ახალი თვალთ-მაქცობა ხომ არ არის?" წერილი ეკუთვნის ბ-ნ ილოვაისკის და ყურადღების ღირსიც არის.

წერილის ავტორს ძლიერ უკვირს მოულოდნელი, უცბად მოხდენილი ცვლილება სერბიის სამინისტროსი და ამიტომ გაოცებული კითხულობს:

> როგორ მოხდა ეს ამბავი? რა მიზეზმა გამოიწვია? ისეთი რა ცვლილება მოხდა ევროპის საპოლიტიკო წრეებში, ისეთი რა აზრი მოუვიდათ ევროპის დიდ სახელმწიფოთა, რომ პოლიტიკის მიმართულება ასე უცბად გადაატრიალეს და სამინისტროს სრულიად ფერი უცვალეს? ვკითხულობ, პასუხს ვეძებ და ვერ მიმხვდარვარო.

ბ-ნ ილოვაისკის ვერა მიზეზი ვერ მოუძებნია და მხოლოდ იმას ფიქრობს, რომ აქაც რაღაც თვალთ-მაქცობა უნდა იყოს ვიღასიც თვალის ასახვევადაო.

> ჯერ კიდევ ღმერთმა უწყის, ექნება რისტიჩის სამინისტროს ხანგრძლივი სიცოცხლე, თუ არა. ვინ იცის, რა განზრახვა აქვთ, რა ჰსურთ,—და აი რომ არავინ მიუხვდეთ, სცენაზე რისტიჩი გამოიყვანეს, რასაკვირველია, დროებით, მინამ საჭიროება მოითხოვს. მოეწყობა თუ არა საქმე საქმეზე, მაშინ რისტიჩს ძალიან არ დაერიდებიან და პირ-და-პირ ეტყვიან: ახლა-კი მიბძანდით, ნუღარ შესწუხდებით, თქვენი ყოფნა სცენაზე, ე. ი. სამინისტროში, საჭირო აღარ გახლავსო.

ბოლოს ბ-ნი ილოვაისკი ასე აფრთხილებს რუსეთის საზოგადოებას.

> ნუ მიენდობით ჩვენ დასავლეთის მეზობლებს და მეტადრე იმ მეზობლებს, რომელნიც დიდ მეგობრად გვიჩვენებენ თავსა. დარწმუნებული იყავით, რომ ეს მეგობარი თითსაც არ გაანძრევს სხვის გულისთვის, თუ თავის საკუთარს სარგებლობას არა ჰხედავს. ნურც იმას დაენდობით, რომ ავსტრია ჰჭექს და ჰქუხს, ცეცხლსა ჰყრის პირიდამ, გულ-მოსულად არჩენებს თავსა და გერმანია დინჯად და დალაგებით დარიგებას აძლევს ავსტრიას,—ნუ სჯავრობთ. დარწმუნებული იყავით, რომ როლები წინადვე განაწილებული აქვთ ამათ და თავიანთ როლებს კარგადაც ითამაშენო..

ბ-ნი ილოვაისკი, ისტორიკოსი, ბრძანებს ამას და გაზეთი „Московскія Вѣдомости"-ც ბეჭედს უკრავს,—და აბა ჩვენ რაღა გვეთქმის. მაშ ჩვენც დავიჯეროთ, რომ რისტიჩის მინისტრობა რაღაც თვალთ-მაქცობაა.

## რუსეთი

—მაისის 17-ს მინისტრის კომიტეტს დაუმტკიცებია „დროებითი წესდებულება სახალხო სკოლების შესახებ ბალტიის ზღვის ახლო-მახლო გუბერნიებში". ამ წესდებულებიდამა სჩანს, რომ სამს გუბერნიაში დაინიშნება ერთი სკოლების დირექტორი და ექვსი ინსპექტორი. ერთ-კლასიან სკოლებში ყმაწვილებს ასწავლიან თავიანთ სამშობლო ენაზედ; ორ-კლასიან სკოლებში-კი სწავლა რუსულს ენაზედ იქნება. რუსულ ენაზედ სწავლას ნელ-ნელა შეაჩვევენ და არა ერთბაშად. საღმრთო წერილს სამშობლო ენაზედ ასწავლიან. ყოველივე სკოლები საერო განათლებათა სამინისტროს ხელ-ქვეშ იქნება.

— 14-ს ივნისს ეკატერინობურგში გამოფენის დაწყობას დაესწრო დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე და ბევრი ხალხი. გამოფენაში 11 განყოფილებაა. ამ განყოფილებებში სუყველაზე შესამჩნევია მადნეულთა და შინაურ ნაწარმოებთა განყოფილება და აგრეთვე სამეცნიერო.

— გამოჩენილ პროფესორ პიროგოვის სახელობაზედ დაარსებულ „ხირურგიულ საზოგადოებისათვის" ერთს კაცს ოთხი ათასი თუმანი შეუწირავს. ამ ფულით უნდა პეტერბურგში დიდი შენობა გააკეთონ სუყველა საექიმო საზოგადოებათათვის, სადაც დიდი დარბაზი იქნება ექიმთა კრებისათვის, პატარა სამკურნალო წიგნთ-საცავი და სხვა.

— ვერნის მიწის-ძვრას დიდი ზიანი მიუცია საზინისათვის. მთელს ქალაქში 1,938 სახლი დაუქცევია და მათ შორის ბევრი სახელმწიფო შენობანი იყო თურმე. ამ სახელმწიფო შენობების დაქცევის გარდა ორი დიდი შენობა დაქცეულა, რომელზედაც ერთზე 416,555 მანათი და მეორეზე 311,065 მანათი სახელმწიფო ვალი იყო მაგრამ.

## უცხოეთი

**გერმანია და საფრანგეთი.** როგორც სწერენ, გერმანიის მმართებლობას ამ მოკლე ხანში მიეცემა სამხედრო მოთხოვნილებათათვის 240 მილლიონი მარკა, რომელიც იმას რეიხსტაგმა მიუსაჯა. უეჭველია, მმართებლობა დაუყოვნებლივ შეუდგება ჯარებისა და იარაღების მზადებას და შევსებას, რათა სრულიად უშიშარ ჰყოს თვისი მდგომარეობა მტერთა განძრახვათაგან. რასაკვირველია, ეს პირველი და უკანასკნელი არ არის გერმანიის მხრით და ეხლაც ეს მეთაური სახელმწიფო კიდევ უფრო საეჭვოდ შეიქმს ევროპის მშვიდობიანობას. გერმანია ისეთს საქმეს სჩადის, რომელსაც თვითონვე სხვა რომელსამე სახელმწიფოს არასოდეს არ დაუთმობს და უსათუოდ თვისს უკმაყოფილებას განუცხადებს ხოლმე ვითომ-და მშვიდობიანობის დაცვისათვის. თვითონ-კი, როცა ხმლის ლესვასა და თოფ-იარაღის წმენდას შეუდგება, ცდილობს დაარწმუნოს მთელი ქვეყანა, თუმცა ეს თვითონვე შეუძლებელ საქმედ მიაჩნია, რომ ვითომ ევროპის საკეთილ-დღეოდ და სამშვიდობოდ ვიქმ ამ საქმესაო.

საზოგადოდ ევროპას თავი მოაწყინეს პოლიტიკის წარმომადგენელთა ტკბილმა სიტყვებმა, რომლებსაც ეხლა არავითარს ფასს არ აძლევს. იგი იმოდენად შეწუხებულია სხვა-და-სხვა სახელმწიფოთა შეტაკების მოლოდინით, იმოდენა ძალ-ღონესა ჰკარგავს შეთოფ-იარაღებისათვის, რომ სწორედ ძნელი წარმოსადგენია, თუ როგორ უძლებს ამოდენა შეწუხებას და თავის მძლავრს ხმას არ ამოიღებს იმათ წინააღმდეგ, ვინც მშვიდობიანობისა და წარმატების მაგიერ სისხლის ღვრასა და სხვა ყოველ გვარ უბედურებას უქადიან.

თუ რაოდენად უსამართლოა გერმანია განსაკუთრებით მისგანვე გათელილ და შეურაცხყოფილ საფრანგეთი სადმი, ამას გვიჩვენებს ის გარემოება, რომ, როცა საფრანგეთი, გერმანიის გაძლიერების მაყურებელი, სამხედრო ძალ-ღონის შემატებას მიჰყოფს ხელსა და გაიხსენებს დაუვიწყარს შეურაცხყოფას გერმანიის მხრით, მაშინ გერმანიის ხელ-მძღვანელნი მოჰყვებიან გოდებას და სცდილობენ როგორმე ხელი შეუშალონ საფრანგეთის გაძლიერებასა. გამოჩნდება თუ არა საფრანგეთში რომელიმე მხნე და ნიჭიერი კაცი, რომლის სახელი ძილს დაუფრთხობს ბ-ნს ბისმარკსა, იმ წამსვე ეს უკანასკნელი იწყებს ლაპარაკს იმაზე, რომ საფრანგეთს არა სურს დაივიწყოს ელზას-ლოტარინგი და საზოგადოდ წარსულ ომი გერმანიასთან (თითქო ეს ომი ასე ადვილად დასავიწყარი იყოს) და მით ემუქრება ევროპის მშვიდობიანობასაო. აი, მაგალითად, საფრანგეთის სამხედრო მინისტრის ბულანჟეს მოღვაწეობა სამშობლოს სამხედრო ძალ-ღონის გასაძლიერებლად და ხალხის ცნობიერების გამოსაფხიზლებლად, ბისმარკს, რომელსაც მერმისი ხელიდგან ეპარება, მოსვენებას არ აძლევდა. ამიტომაც ბულანჟეს გადაყენებამ სამსახურიდგან დიდი სიხარული გამოიწვია გერმანიაში და ბისმარკსაც თავისუფლად სული მოათქმევინა.

ამ ბოლო ხანებში საფრანგეთის გაზეთ „Intrasigeant"-ში დაბეჭდილია ერთი ფრიად შესანიშნავი ამბავი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რაოდენად მოწადინებული იყო ბისმარკი ბულანჟე გადაეყენებინა სამსახურიდგან. ამ ამბავიდგან სჩანს, რომ თ. ბისმარკი თავის ნებაზე ათამაშებს საფრანგეთის სახელმწიფო მმართველებს. იგი მოგვითხრობს, თუ რა საუბარი ჰქონია თ. ბისმარკს და მისს შვილს ლესეპსთან, რომელსაც ვითომ გარდაუცია გრევისათვის ბისმარკის სურვილი ბულანჟეს გადაყენების შესახებ. გაზეთების სიტყვით, გერმანია ბულანჟეს ისეთ კაცად იცნობს, რომელსაც შეუძლიან ხალხი აამხედროს გერმანიის წინააღმდეგ და ჯეროვნად ხელ-მძღვანელობა გაუწიოს საფრანგეთს შეტაკებაში ისეთს მძლავრს მტერთან, როგორიც გერმანიაა.

**სერბია.** რისტიჩის სერბიის მინისტრად დანიშვნამ, ცოტა არ იყოს, შეაფიქრიანა გაზეთები. ზოგს ეს გარემოება რუსეთის პოლიტიკის გამარჯვებად მიაჩნია სერბიაში და ავსტრიის გავლენის დამცირებად; მაგრამ, როგორც გვაუწყებენ გაზეთები, მილანი რისტიჩის მინისტრად დანიშვნისათანავე ავსტრიაში წავიდა ვითომ და თავის ერთგულების გამოსაცხადებლად ავსტრიისადმიო. ამ გარემოებათ, რისტიჩის გამინისტრებას და მილანის სტუმრობას ვენაში, ზოგიერთი ეჭვში შეუყვანია. თუ რუსეთის პოლიტიკამ გაიმარჯვაო, მეფე მილანს ავსტრიაში რა დავიწყებიაო?

## განსართობი

**ოროოდე სიტყვა ვიქტორ ჰიუგოსი ტალეირანზედ *).** ამას წინად პარიჟში გამოსცეს ვიქტორ ჰიუგოს კალმის უკანასკნელი ნაწარმოები—პოეტის დღიური, ამ სახელით „Choses Vues"-ს („ნახული და გაგონილი"). დღიური დაწერილია 1851 წ., როცა ვიქტორ ჰიუგო საფრანგეთიდგან განდევნეს. სხვათა შორის ვიქტორ ჰიუგო აი რას ამბობს ტალეირანის გარდაცვალებაზედ: „ექიმებმა შეჰმურეს გარდაცვალებულის გვამი და ამის გამოვე შიგნეული და ტვინი ამოართვეს გვამსა. ტალეირანის გვამი ჩასდეს კუბოში, გადააფარეს ზედ თეთრი ატლასი, გავიდნენ და სტოლზედვე დასტოვეს გარდაცვალებულის ტვინი, ის ტვინი, რომელსაც იმდენი ეფიქრა, იმდენის კაცისათვის ჩაეგონებინა მაღალი აზრები, იმდენი შენობები აეგო, გამგეობდა ორს რევოლიუციას და ხელში ეჭირა მთელის ევროპის საქმეები. ექიმების წასვლისათანავე შევიდა ოთახში, სადაც ტვინი იყო, მსახური, დაინახა ტალეირანის ტვინი, აიღო და ჯირგვინში ჩააგდო თურმე. ასე მორჩა და გათავდა ამ დიდებულის კაცის ბოლო ამ ცოდვილს ქვეყანაში!"

**

**კაცის-მკვლელობა მოლაღურის გამო.** ფლორენციაში, დაბა გუბბიოში, ერთი მასწავლებელი სახლში ინახავდა თურმე მოლაღურს, დაშინაურებულს და ხელზედ დაჩვეულს. ეს მოლაღური უშიშრად და არხეინად დასეირნობდა თურმე ამ მასწავლებლის სახლში დაართობდა შეგირდებს. თვით მასწავლებელს ძალიან უყვარდა თურმე ეს ჩიტი და ერთხელ ლაპარაკის დროს უთქვამს შეგირდებისათვის, რომ ვინც ამ მოლაღურს დაუშავებს რასმე, უსიკვდილოდ არ გადამრჩებაო. ამ სიტყვის თქმიდგან რამდენისამე ხნის შემდეგ ერთი შეგირდი სწავლის გათავების შემდეგ ძალიან საჩქაროდ წამოდგა თურმე სკამიდგან, სკამი პირ-უკუღმა გადავარდა, ქვეშ მოლაღური მოიყოლია და მოკლა. მასწავლებლის ყველა შეგირდებს ძალიან შეშინებიათ, გაფანტულან თავ-თავიანთ სახლებში და იმ შეგირდს-კი, რომელსაც უცაბედად სკამი გადმობრუნებია, უთქვამს მამისათვის, რომ მასწავლებელი სიკვდილით დაგვემუქრა ყველას, ვინც ჩემს მოლაღურს დაუშავებს რასმესაო და ამიტომ მე სასწავლებელში ვეღარ ვივლიო. მამას თავის დამნაშავე შვილი მიუყვანია მასწავლებელთან; მასწავლებელს უპატიებია დანაშაული შეგირდისათვის, დაუმშვიდებია და უთქვამს, რომ ისევ კვლავინდებურად იარე სასწავლებელშიო. დამნაშავე შეგირდს ისევ დაუწყვია სიარული სწავლაზედ. ამ შემთხვევიდგან რამდენისამე დღის შემდეგ მასწავლებელს გაუხმია ეს შეგირდი მეორე ოთახში, სცემია ყელში და დაურჩვია. შემდეგ ამ კაცის-მკვლელს მღვდელს სასამართლოში გამოუცხადებია ეს ამბავი და ამ ჟამად პერუჯის ციხეშია თურმე დაპატიმრებული.

**

**ჯიბის საკერავი-მაშინა.** ამერიკელები საზოგადოდ განთქმულნი არიან იმით, რომ ხან რას მოიგონებენ ხოლმე და ხან რას. აი კიდევ რა მოუგონიათ ამერიკელებს. ერთს ვიღაც ამერიკელს მოუგონია ერთ გვარი პატარა, ჯიბეში სატარებელი საკერავი-მაშინა. ეს მაშინა თურმე სიგრძით შვიდი გოჯია, სიგანით სამი და სიმაღლით ხუთი და ჯიბეში ადვილად სატარებელია. ამ პატარა მაშინაზედ ყოველ გვარის საკერავის გაკეთება შეიძლება თურმე და ძალიანაც გავრცელებულა ამ ჟამად ამერიკაში.

## დეპეშა

21 ივნისი

**პეტერბურგი.** მემკვიდრე ცესარევიჩმა და დიდმა მთავარმა გიორგი ალექსანდრეს ძემ შესწირეს თავი-

*) ჰერცოგი ფრანც მორის ტალეირანი იყო განთქმული საფრანგეთის დიპლომატი, დაიბ. 1754 წ. გარდ. 1838 წ.

ათ საკუთარის ფულებიდამ ა) ვერნის დაზარალებულთა სასარგებლოდ ცესარევიჩმა 5000 მან. და დიდმა მთავარმა გიორგი ალექსანდრეს-ძემ 2000 მან. და ბ) ქ. კასტრამაში გადამწვართათვის ორთავემ ას-ასი თუმ.

სტამბოლი. ინგლისმა უარი შეუთვალა ოსმალეთს, როცა ამ უკანასკნელმა ითხოვა, რომ კიდევ გადაიდოს დამტკიცება კონვენციისაო.

ლონდონი. გუშინ დედოფლის თანადასწრებით დაჰხედეს 30,000 თავის ნებით ჯარში შესულთა ლაშქარს.

პარიჟი. როგორც ისმის, საომარ ფეხზე დაყენება ერთის ქვეითის ჯარის კორპუსისა სასინჯავად სამერმისოდ იქმნა გადადებულიო.

ლვოვი. გუშინ საღამოს მოვიდნენ აქ მემკვიდრე პრინცი მეუღლითურთ. მათ პატივ-საცემლად ხალხი შეგროვდა და ჩირაღებით ხელში გაიარა ქუჩაზე.

სოფია. ტირნოვოში მოვიდნენ მინისტრები და თითქმის ყველა დეპუტატები. ხვალ დაიწყობა დიდი საერო კრება დიდის ამბითა. ხვალისათვისვე გადადებულია არჩევანი კრების თავს-მჯდომარისა. გაზეთები ამბობენ, რომ კრება მოწოდებულია განსაკუთრებით მთავრის ამოსარჩევადაო.

ტირნოვო. დღეს მოსამზადებელი კრება იყო გამართული დიდის საერო კრების დასაწყობად.

ბერლინი. აქ თითქმის სრულიად დარწმუნებულნი არიან, რომ სარეგენტო მთავრობა ბოლგარიის მთავრად ასარჩევ კანდიდატად წარუდგენს ხვალ დიდს კრებას პრინცს კობურგსაო.

22 ივნისი

პეტერბურგი. ბუხარის სახანოში, ჩარჯუასა და კარკაში, აარსებენ მე-2 ხარისხის სასურსათო მაღაზიებს.

მოსკოვი. გუშინ გარდაიცვალა კურსკი—კიევის რკინის გზის გამგეობის თავ-მჯდომარე, ივანე გიორგის-ძე ფონ-დერვიზი.

სიმლა. სრულიად მართალი გამოდგარა ის ამბავი, რომ 1 და 4 ივნისს ორს ბრძოლაში გილზაები დამარცხდნენო.

პეტერბურგის ბირჟა, 19-ს ივნისს

ფ ა ს ე ბ ი:

| | მყიდვე-ლისა | გამყიდ-ველისა | გაყიდუ-ლისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — › | — › | 9 20 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — › | — › | 178¾ |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . . | — › | — › | 1 29 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . . | — › | — » | 265½ |
| — მეორისა . . . . . . | — › | — › | 250 |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | — › | — › | 98¾ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — › | — › | 98 |
| ტფილისის ურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . , | 83¾ | — › | — › |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

თიბათვე 30 დღით არის

**23 დღე სამშაბათი.** ქალწ.-მოწ. აგრიპინასი. კათოლ. აგრიპინასივე, ზენონასი და ზენისა. სომეხ. წმ. დანიელ წინ.-მეტყ. და სამთა ყრმათა. მუსულ. მე-14 რიცხვი თთვისა შევალისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 4—30, ჩადის 7—37. მთვარე 15 დღისაა.

**24 დღე ოთხშაბათი.** შობა ნათლის-მცემლისა წმ. იოანე წინამორბედისა. აგრეთვე კათოლიკეთა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-15 რიცხვი თთვისა შევალისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 4—31, ჩადის 7—37. მთვარე 16 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

1 ივნისიდამ 1 ივლისამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა . | 3 | › |
| › 2 › | 2½ | › |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | › |
| › › 2— | 3½ | › |
| › › 3 › | 3 | › |
| ჯვარის მამის პურის ღვაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | › |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | › |
| მე-3 — . . . | › | › |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | › |
| › 2 › | 6 | › |
| სუკი. . . . | 13 | › |
| ცხვრის ხორცი . . . | 8 | › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხის. | › | › |
| › 2 › | › | › |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთა, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავი საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭირო ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების საგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ ი ლ ი თ | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| **ტფილისი** . | — | — | 8 | 49 | **ბათუმი** . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა. . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი . | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა. . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები . . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 3 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი. . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი . . | 10 | 51 | 10 | 53 |
| **გორი** . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 8 | 12 | 11 | **სამტრედია** . | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი . | 12 | 13 | 12 | 16 |
| **ხაშური** . . | 1 | 2 | 1 | 17 | რიონი . . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი . . . | 2 | — | 2 | 3 | **ყვირილა** . . | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი | 4 | 18 | 4 | 37 |
| **ყვირილა**. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | სურამი. . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| **რიონი**. . . | 6 | 29 | 6 | 44 | **ხაშური** . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| **სამტრედია** . | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 5 | 8 | 7 | **გორი** . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი. . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი. . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი . . . | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები . . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა. . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი . | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა. . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| **ბათუმი** . . | 11 | 13 | — | — | **ტფილისი** . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

**რიონიდამ** ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ ღ ი ს ი თ | | | | | ღ ა მ ი თ | | | |
| **ტფილისი** . | — | — | 3 | 21 | სურამი. . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | **ხაშური** . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა. . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | **გორი** . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| **გორი** . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი. . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| **ხაშური** . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | **ტფილისი** . | 8 | 24 | — | — |


## კერძო განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება

ჩარკვიანის ქართულს წიგნის მაღაზიაში

ვეფხის-ტყაოსანი

შოთა რუსთაველისა, ავჭალის სურათით. ფასი 1 მანათი

ისყიდება

წიგნის მაღაზიაში: **ტფილისში** ჩარკვიანთან, სემენარიის პირ-დაპირ, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე და გრიქუროვთან, ალექსანდრეს ბაღის პირ-და-პირ, კუკიის ხიდისყურთან, **ქუთაისში** ქილაძესთან.

ამ ახლო ხანებში დაბეჭდილი წიგნი (მხოლოდ 200)

**დასტურლამალი**

მეფის ვახტანგ მეექვსისა

გამოცემული პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით. ტფილისს 1886 წ.

ფასი 1 მან. 25 კაპ.

ტფილისს და ქუთაისს გარეშე ადგილებიდამ მსურველთ შეუძლიანთ პირ-და-პირ თვით გამომცემელისაგან, დაიბარონ მოხსენებულ ფასად გასაგზავნის ხარჯის დაუმატებლად ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Петру Іосифовичу Умикову. Около Анчисхатской церкви въ д. Гвиніевой.

ნაფიცი ვექილი

ა. ს. ფრენკელი

გადავიდა კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის მახლობლად, მაკკერის სახლში. (3—3)

ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| ქილილა და დამანა. ვახტანგ მეექვსისა . . . . . . . . | 3 | › |
| ვისრამიანი, სარგის თმოგველისა. | 1 | 50 |
| სიბრძნე-სიცრუვე, საბა-სულხან ორბელიანისა . . . . . . | › | 50 |
| დავითიანი, დავით გურამიშვილისა . . . . . . . . . . | 1 | › |
| თამარ ბატონიშვილი, გრიგოლ რჩეულოვისა . . . . . | 1 | › |
| ნაწერები ალექსანდრე ორბელიანისა . . . . . . . . | › | 50 |
| ნაწერები გრიგოლ ორბელიანისა. | › | 30 |
| თხზულებანი ნ. ბარათაშვილისა. | › | 40 |
| მეჯლანუაშვილი, არდაზიანისა . | › | 30 |
| დედა და შვილი, ილია ჭავჭავაძისა . . . . . . . . . | › | 20 |
| რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ, მისივე. . . | › | 10 |
| სურამის ციხე, ჭონქაძისა . . | › | 20 |
| ბატონიშვილის პირველი დრო, ალ. ორბელიანისა. . . . | › | 30 |
| თხზულებანი, რაფაელ ერისთვისა. | 1 | › |
| ნაწერები, ვახტანგ ორბელიანისა. | › | 20 |
| ქართული გამოცანები, რაფაელ ერისთვისა. . . . . . . | › | 5 |
| იგავ-არაკი, რაფაელ ერისთვისა. | › | 25 |
| განკიცხული, მოჩხუბარიძისა . | › | 50 |
| ციკო, მისივე. . . . . , . | › | 30 |
| პატარა ბიბლიოთეკა, იაკობ გოგებაშვილისა . . . . . | › | 10 |
| მიტრიდატ დიდი, დიმიტრი ბაქრაძისა . . . . . . . | › | 10 |
| ბაგრატ მეოთხე, მისივე. . . | › | 20 |
| მირიან მეფე და წმიდა ნინო, მისივე . . . . . . . . | › | 10 |
| ვახტანგ მეექვსე, მისივე. . . | › | 15 |
| დარიგება მასწავლებელთათვის ი. გოგებაშვილისა. . . . | › | 5 |
| არითმეტიკა, დიდებულიძისა. . | › | 50 |
| არითმეტიკული გამოცანები, ივ. როსტომაშვილისა. . . . | › | 10 |
| წითელი ფარანი, თარგმანი. . | › | 15 |
| ზაფხული. ჯუღელის რედაქციით. | › | 25 |
| ხატაური, ანასტასია თუმანიშვილისა . . . . . . . . | › | 10 |
| ამბები ყრმათათვის, ან. ჯუღელისა | › | 5 |
| არსენას ლექსი . . . . . . | › | 5 |
| ბანჯგვლიანი ფუტკარი, თარგ. მახი. . . . . . . . . | › | 15 |
| ქართული ანდაზები. . . . | › | 10 |
| თვალ-საჩინო სწავლა, მ. ჭიჭინაძისა . . . . . . . . | › | 40 |
| ირაკლი მეორის გლოვა . . | › | 5 |
| ალი, ნ. ლომოურისა. . , . | › | 30 |
| დრო არის საქმეს შეუდგეთ, ქ. მამაცაშვილისა. . . . . . | › | 20 |
| ალმანახი, გ. თუმანიშვილისა. . | › | 40 |
| სტეფენსონი, ბარბარე თუმანიშვილისა . . . . . . . . | › | 5 |
| მოძღვარი, ალ. ყაზბეგისა. . | 1 | › |
| თხზულებანი, მისივე ნაწ. I. . | › | 60 |
| რობინზონ კრუზე, ან. თუმანიშვილისა . . . . . , | › | 30 |

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში ახალი სკოლებში ახმარებელი სახელმძღვანელო წიგნი, მიხეილ ნასიძისა:

**ქართველი მწერლები**

**II**

დავით გურამიშვილი

**ფასი 20 კაპ.**

ეს წიგნი შეიცავს წინასიტყვაობას, დავით გურამიშვილის ბიოგრაფიას და 14 საუკეთესო ლექსს, ამოღებულს «დავითიანიდამ». ყოველივე ძნელი სიტყვა სხოლიოში განმარტებულია და ისტორიულს ლექსებსაც აქვს საჭირო ისტორიული შენიშვნები. (10—8)


Дозв. цен. Тиф. 22 іюня, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе" (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე